

# სასაფლაო ვაჟა-ფშაველას

სურათებიანი დამატება

გაზეთის № 479.

კვირა, 18 დეკემბერი 1911 წ.

დამატების № 84.



ნათო გაბუნია ცაგარლის ძეგლი, კუკის სასაფლაოზე. რომელიც  
1911 წ. 11 დეკემბერს აკურთხეს.



# ღ ღ ი უ რ ი

(ბაიანისა).

კოლ-ქმარი შესტოვები ჩხუბობდნენ. ცოლი-სქელი, ჩატუნული, დონდლო, ბეცი, ყრუ. ქმარი-მკლე, ძარღვიანი, სუსტ-ნერვიანი, გამომეტყველებით—წამებული თითქოს გმირიც. ცოლი წყენით ჰკუმავდა ლამაზ ტუჩებს და სამურისგებურ წარბებს იკმუნხიდა; ქმარი გადმოკარკლულ თვალებს აბრიალებდა და ბოროტად ჰკრეკავდა ვეება, ყვითელ კბილებს. ჩხუბის გარეგნული მიზეზი იყო მუდმივი შინაური უგვანო შუღლი, შინაგანი კი სხვა და სხვაობა ხასიათისა, გემოვნებისა, მისწრაფებათა.

— ეს ოხერი, რედქციაში მინდა წავადე... მშიერი ვარ, არას მაქმევენ! — ყვიროდა ქმარი, თან ზიზღით ათვალთვრებდა ქუჩიან კაპოტში ცოლის სრულ სხეულს.

— ცოტა დაიგვიანეთ...

ცოლი ელაპარაკებოდა გაგრძელებით, თავშეკავებით, მაგრამ სიძულვილი მის ხმაშიაც ისმოდა. ქმარს მეტადრე ეს გაქიანურებული, ყალბი ხმა და სიტყვების გამოთქმა, აბრაზებდა.

— ცოტათი გამაჯავრა ქმარმა, ოარი საათით...

— მზარეული ქალი დაფითხოვე...

— რათა? — ჰკითხა ქმარმა.

— საშინლადა ქურდობდა...

— შენ ყოველი მზარეული გპარავს, რადგანაც თითონ არაფერი გესმის... დამბლა, ბინძურო... ყველგან ქუჩეი, უპატრონობა... ბავშვებს ქუჩეი სკამს, მკბენარი დაეხვიათ... თითონ ქუჩეი გკამს... რაღაცა დუნდულა ხარ... ექვიანობს კიდევ და!.. სწორედ გულს მირევ...

ცოლის მკერდი საბერველივით აღი დადიოდა და ლამაზად დაწყობილი ტუჩები უთრთოდა.

— ტანია არ გირევეს გულს... ვიცი...

ქმარი გაფითრდა, მიუახლოვდა ცოლს, სტაცა მხარში ხელი და შეაჯანჯლარა.

— რა იცი?..

ცოლმა შეჰყვირა, უკან გადავარდა და შეშინებულის სახე მიიღო.

— რა, კიდევ ცემა?

— არა, არა გცემ, — მიუგო ქმარმა, მაგრამ იუ შენი უგულისყურობით, სიცრუით, ცრემლით, პროვოკაციით თავს მომძულე, სახლიდან გაგიძახებ, ან მე თითონ წავალ...

— ტანისთან, — სლოკინობდა ცოლი.

— ჯანდაბას! — ღრიალებდა ქმარი.

ცოლი გულამოსკვნით სტიროდა, ის კი ოთახში შლეგიანივით დარბოდა, კბილებს აკრაქუნებდა.

— აბა, როგორ ვიმუშავო? როგორ? აზრი საიდან მოვიკრიბო? ჩემგან სილამაზეს მოითხოვენ, მე კი ქუჩეში ვარ

ჩაფლული, სიბინძურეში... საღი უნდა ვიყვე, დამალ-დუმ-პალს კი მაქმევენ, შამშლით სულსა მხდიან... საყელოებს მზარეული ქალი მირეცხავს, საღილს მრეცხავი დედაკაცი მიმხადებს...

— ეგ ერთხელ მოხდა — წაიღულულა ცოლმა.

— ერთხელ ეს, ერთხელ მეორე, ერთხელ მესამე... ერთი დღე არ გადის, რომ საძაგლობა არა ვნახო.

— შენ მე შეგჯავრდი — დაატანა ცოლმა.

— ან რაზე უნდა მიყვარდე, დაგწყევლოს ღმერთმა!.. სამუდამო სიყვარულის ვექსილი მოგეცი?.. ხელწერილით შეგეკარი, თუ რა არის?..

ქმარი მაგიდიდან ისროდა წიგნებს, ქალადებს.

— ერთი სილამაზე გქონდა ეგეც მოიღწე, გააქრე...

— ოჰ, ღმერთო, — წამოიყვირა

ცოლმა.

— რაო, ღმერთო? რაო?..

შეხედე შენს თავს... რასა ჰგევეხარი..

— ტანია მჯობია... ვიცი...

— ტანია!.. ტანია იმით გჯობია, რომ ჩემს სიცოცხლეს არა სკამს... არ მაწამებს...

ცოლი ხმაშალდა სტიროდა.

— შენ შემილახე სული... დამღუპე... მე უმანკო ვიყავი... უცოდველი... სულ შენ... ბრიყვო... ბოროტო... გარყვნილო...

— შენ ჰკუთა სისუქნეში გაგვარა, — მიუგო ქმარმა, — შენი უმანკობა კი მუდამ საეჭვო იყო... სისხლში სიზარმაცე გაქვს შერეული, ქუჩეი, სიცრუე...

— შენ კა—არაყი, გარყვნილება. — მიაყოლა ცოლმა.

— მე ვმუშაობ...

— მე კი ვიტანჯები...

— მიძულე...

— მე არა ვუნამუსობ...

— ცოდვიანი ხარ...

— ბილწო... დაიღუპე! — ცოლი კარბიდან აგდებდა ქმარს.

— ლოთო... გარყვნილო...

— ტეტიავ...

ამ დღესვე ცოლმა შემდეგი სტრიქონები ჩაიწერა ღლიურში:

„... ახალი სცენა... მხეცს ჩემი სიკვდალი ჰსურს... ხუთი წუთით საღილი დამიგვიანდა და ამაზე ცემა დამიწყო... ჩემს თეთრს, ნაზს სხეულს მუშტებს ურტყამს... ღმერთო მოწყალეო, როდის გათავდება ეს!.. განა სხვა ვინმე იტანჯება ასე, როგორც მე? განა არის სადმე ისე დამცირებული გული, როგორც ჩემი? გრძნობა ფეხქვეშ გათელილი, შეურაცყოფილი!.. მაისის ვარდივით ნაზი, უმანკო ჩემი თავი ამ „გმირს“ ჩავუგდე ხელში. თავბრუ დასხმული ვიყავ ამისი მამაცობით. მოკრთაღე თვალგზში რომ თავისი ტყვიისგებური თვალით მიყურებდა პირველ შეხვედრის დროს — მითხრა: „თქვენ მე მომწონხართ და ხელშიც ჩაგიგდებთ“... რა უნდა მეთქვა? ჩამიგლო ხელში, როგორც ნივთი... მისი ჟინი იყო აშლილი, თავხედური, პირუტყვეული, როგორც მისი სხვა ყველაფერი. ის მკამბა, როგორც ყვერულს... გაძღა-და მორჩა. ეხლა სხვასა სკამს... ღმერთო, მომეც ძალა!.. იმას რაღაცა სამუშაო აქვს, რა-

ჩინეთის რევოლუციონერი.



რევოლუციონერთა ჯარის სარდალა გენერალი ლი.



ჩინეთის რევოლუცია.



ქ. ხანკაუ, რომელსაც ბრძოლის დროს ზარბაზნის ყუმბარებით ცეცხლი მოედო.

ლაცა ტალანტი... მერე მე რა?.. განა იმიტომ მივუხოვდი, რომ შემუშავებ... ქმარმა ცოლი უნდა არჩინოს... ხომ შინაურს ფრინველს აკმევენ, ვიდრე დაკლავინ... უბედურება ის არის, რომ ჩვენ უნდა გვაქამონ მას შემდეგ, როცა შეგვკამენ... A propas: მზარეული ქალი გამეჭვა, კარგი, პატროსანი ქალი, სახლში წესრიგი არა გაქვთო. აბა, რა წესრიგი შეიძლება ამისთანა ამოსავარდნელთან. იძულებული ვიყავ მრეცხავისათვის სადილი მომემზადებინა, ხოლო თეთრეული გასარეცხად მეზობელ მზარეულ ქალისათვის მიმეცა. დმერთო, სულ უგვანოა შუღლი, შუღლი, როცა სული საგვსეა მაღალ მისწრაფებით, გონება ვახურებულა მომხიბლავ ოცნებით, სველი ბაგენი კოცნას ელიან, მთელს სხეულს კი, თითქოს ჩოთქით, მიზელოვენ... ოჰ, ჩემი ოქროს ქოჩრიანი ფეხო! ოჰ, ჩემი პატარა!.. მხოლოდ შენ ერთს გესმის ჩემი გულის თქმა და გიყვარვარ... მხოლოდ შენ მოგიძღვნი ამ სტრიქონებს... ეს მარწმუნებს, რომ მე გავსქელდი, გავფუჭდი... ტანია, რასაკვირველია, გაჩხიკვულია... მაგრამ შენ ხომ, ფეხო, შენ გიყვარს ჩემი სისრულე? ჰა?.. შენ თვით მითხარი, რომ ლიფსიტები გეჯავრება... ჰა... ჰავლოვსაც უყვარდა ჩემი სისრულე, სიდოროვსაც, კონკოვსაც, სვერჩოვსაც... მე შევნიშნე, რომ მამაკაცებს სრული სხეული უყვართ... მეც მიყვარს ჩემი სისრულე... მთბილა, მოსვენებითა ვარ!.. ოჰ, პატარავ, შენც შეგებრძოლები, როგორც ვებრძოდი შაათს... მაგრამ თუ ეხლაც ჩემი ტანჯვა, მართლობა, ჩემი მწარე ხვედრი ამ მხეცის ბრქვალეში, ჩემს უმანკობაზე, სირცხვილზე, ჩემს მტკიცე გარდაწყვეტილებაზე გაიმარჯვებს, თუ მე... მკერდს ჩაგეკრა, გახსოვდეს, რომ შენს მკერდზე თრთის განაწამები, დაწყულულებული სხეული კეკლუცისა და გათელილისა, შეურაცყოფილი სული მგოსნისა... ოჰ, ოქროს ქოჩრიანი ფეხო!..

მეორე დღეს საღამოა, როცა ქმარი რედაქციაში იყო, ცოლს სახლში უჯდა თეთრ წარბ-წამწამიანი, მაღალი, ვეება თევზისებური პირით და თავბედური მოშავო თვალეებით „ვოლნოპრედელიაიუშინი“, რომელიც ხელს უსვამდა მის მშვენივრად მოყვანილს სხეულს.

— ნუ... ნუ!—იმეორებდა ქალი და მხარზე დაჰყრდნობოდა. შემდეგ ხელზე ხელი მოჰკიდა და, იმის მაგივრად, რომ მოეცილებინა, კორსაჟის ღილებთან მიიკრა. ღილებმა გაიტკაცუნა. „ვოლნოპრედელიაიუშინი“ ერთი წამოიყვრა და ტიტველა სხეულზე მიიკრა. ქალი თმაზე უსვამდა ხელსა და ლულულდებდა:

— ჩემი ოქროს ქოჩრიანი ფეხი... ჩვენ ერთმანეთი გვეყვარება წმინდად, უმწიკვლოდ... შენ შემოგწირამ ჩემს ტანჯვას... დეე, სხეული იმ მტარვალს ეკუთვნოდეს, სამაგიეროდ სული შენია... შენია... ფეხი როგორღაცა ხმაურობდა, თითქოს რაღაცა გემრიელსა სჭამდა.

— სხეული მეც მინდა... იძახდა ის სლოკინით.  
 — სხეული გაწამებული მაქვს, დაწყულულებული... ეუბნებოდა ქალი.  
 — თეთრია, გემრიელი... იმეორებდა ყმაწვილი.  
 — ნუ თუ?  
 — მე სრული ქალები მიყვარს,—ბურტყუნებდა ვოლნოპრედელიაიუშინი.  
 — ფეხო... საყვარელო... ნუ იზამ... ფეხო,—ემუღარებოდა ქალი.  
 ვიტანჯები... მოტყუებული ვარ... წმინდა სიყვარული მწყურია... ჯერ არავინა მყვარებია... ცხოვრებას არ ვიცნობ... ფეხო, მოიცა!.. ჯერ ისევ ბავშვი ხარ... მეც ისე ახალგაზდა ვარ... სულით... არც ერთი მამაკაცი, ქმარის გარდა, არ შემხებია... გჯერა?.. გწამს?..  
 ფეხი კვლავ გაურკვეველად ქშინავდა, თითქოს სჭამს რასმეო.  
 — ფეხო... შენ წმინდა ხარ... ორივენი წმინდანი ვართ... ნუ გინდა! ჩემი ცრემლის გულისათვის, ტანჯვისათვის... გვიყვარდეს ერთმანეთი, როგორც ნალსა და

ჩინეთის რევოლუცია.



ქ. ხანკაუ, რომელიც ბრძოლის დროს მთლად გადაიბუგა

დამიანტის, როგორც რომეოსს... ჩემი შვილების გულისათვის...  
 შემებრაღე... პატარავ...  
 ერთი საათის შემდეგ ის თავის დღიურში სწერდა: ჰლაშეა... მართო ვარ... ფეხი წავიდა... იყო კია ის? სი-



# წერილი აბებში



პრეიმბისკოპოსი ხურენიანი.

პირველი საკათალიკოსო კანდიდატი სრულიად სომეხ გრიგორიანთა.

ზმარი არ არის?... არა, არა!.. ხელში ვგრძნობ მის ხუტუტა თმას, ბაგეზე—მის კოცნას...

როგორ ვებრძოდი!.. ღმერთო, როგორ ვებრძოდი... ჩვენ დიდხანს ვლაპარაკობდით... ის ჩემი სულის სიმებს თითებით ატყობდა და ისიც საბრალო ხმას გამოსცემდა... მთელი ჩემი ცხოვრება, ბავშვობა, ქმრიანობა ამ ხმებში იყო გამოხატული... არაფერი დამიმაღლავს... მე ჩამოვსვენ ნიღაბი იმ კაცს, რომელიც გმირად მიაჩნიათ, მაგრამ რომელიც ნამდვილად ტლანქი, გარყვნილი ხვადია მხოლოდ... ოჰ, მე ყველაფერს ვჯამობ ფეხს. იმ საზიზღრობაზედაც კი... ამან ის შეაშფოთა—უნდოდა ჩემთვის კორსაფი გაეხსნა, მაგრამ მე გაუშვალდი და განვაგრძობდი ჩემი სულის გადაშლას. იმანაც გამიზიარა თავისი ტანჯვა... ვოლნო-ოპრედელიაიუშიებს ეხლა ძალიან მკაცრად ეპყრობიან... შემდეგ ვლაპარაკობდით თეატრზე, ლიტერატურაზე, პოლიტიკაზე... ის თავიანთ სცემს გუჩკოვს, მე—პურიშკევიჩსა. გუჩკოვს ბევრი თავიანთისმცემელი ჰყავს ვოლნო-ოპრედელიაიუშითა შორის, ნეტადრე ღუგუნიძის შემდეგ... მათ ის გმირად მიაჩნიათ, რომელიც მოწოდებულია გაქირების უამს სამშობლოს დასახსნელად. ამბობენ, იმას მისცემენ ეპოლეთებსა და სამხედრო მინისტრად გაჰხდინაო... ბევრი, ბევრი მიაშობა გუჩკოვზე. მაგრამ, თუმცა სულითა და გულით ვესწრაფი ჩემი ფეხისკენ, მიყვარს, მაინც არ შემიძლიან მისი მოსაზრებანი განვიზიარო. ჩემი გმირი მაინც პურიშკევიჩია... მე ვალმერთებ მის მოლოპრილს თავს, სრულს კონტრასტს ფეხის ხუტუტებთან. მე მქამს მისი პატარა, მკვეთრი თვალები... რომ ვუყურებ გაჩხიკვულს, ჟრუანტელი მივლის ტანში იმის გახსენებაზე—რამდენი უბედურება უნდა გამოველო ამ კაცს... ამბობენ—ის ეროტომანიოა. არ მესმის ეს სიტყვა, მაგრამ ფიქრობ, სიყვარულში ძალიან საამოს და ძლიერს უნდა ნიშნავდეს... როცა ის თავის ცნობილ სიტყვას ამბობდა უნივერსიტეტის გარყვნილებზე, რაღაც ზიურდიულ საშვილოსნოზე, მე ვერაფერი გავიგე, მაგრამ თვალთ დამიბნელდა... ყველაფერ ამაზე მე და ფეხი ვლაპარაკობდით დიდხანს, დიდხანს... მე უკვე ძილი მომერია... ფეხი ადგა, უნდოდა წასვლა, რომ უცებ ცუდად გავხდი. მის მკერდზე დავეცი. მან ლიფი გამიხსნა და გულზე ყური დამადო... არ ვიცი რა უთხრა მას გულში, ეს კია—გადასწყვიტა, რომ ლოგინში უნდა ჩაეწოლილიყავ.

და აი... მაგრამ, შეიძლება, არაფერიც არა ყოფილა? მომკლანდა?... ნეტა რათ არის, რომ ყველა მამაკაცები, როცა უყვართ ვინმე, თითქოს სკამენ? ღეკავენ, ილოკებიან. ოჰ, ჩემო ფეხო... ჩემო სულო... ჩემო ტანჯვავ... ჩემო სიყრმე.

ხან-განი-ძე.

ფოტო-ტელეგრაფი, ვენაში ლუდვიგ ჩერნერმა ისეთი მანქანა გამოიგონა, რომლის საშუალებითაც შეიძლება ადამიანის გამოსახულების გადაცემა, რაც გინდ შორს იყოს, ამ ელექტრონულ სარკეებით მოწყობილ დეპეშით. გამოგონების ღირსება ისიც არის, რომ, სურათის მიღებისთანავე, მის კლიშეზე გადადება ადვილია (იხ. დღევანდელი დამატ.) ასეთი გამოგონება, რასაკვირველია, ბევრ საქმეს გადავიღებს და განსაკუთრებით კი გადავიღდება ბოროტ-გამხრახველთა და დამნაშავეთა შეპყრობა, რადგან მათ სურათს ერთ დღეში მთელ ქვეყანას მოჰფინენ.



მილაზღერთა ხაჩუქრები. ამერიკისა და ინგლისის მდიდარი განთქმულნი არიან თავისი ორიგინალობით. ფული რომ ვერაფერში დაუხარჯავთ, ადგებიან ხოლმე და ხან რას მოიგონებენ, ხან რას. სულ ახალ-ახალ ჩვეულებად შემოიღეს ძალიან ძვირფას ხაჩუქრების მიღება ბავშვებისთვის, აი, მაგალითად, რა ხაჩუქარი უძღვნა თავის შვილს ფილადელფიელმა მდიდარმა სულაჯანმა. მან უყიდა სათამაშო მატარებელი და ლიანდაგი. თითო ოთქლძაველი ათას ორას მანეთად მიიწვდინა. ვნაში ბევრი ხილია გამართული, გვირაბები და სხვა. ვაგონებში ტიკინები სხედან და ვერც ვისმე დააყვედრიან, ცუდ პირობებში გვამგზავრებთო. ეს სათამაშო სულივანს ოთხმოც ათას მანეთად დაუჯდა.

ამას წინად კიდევ ერთმა ბირჯის მეფემ შვილს შობას უმავთულო ტელეგრაფის სადგური აჩუქა. ეს ყველგან გავრცელდა და ჩქარა ყველა გამოჩენილ მდიდრის შვილს გაუჩნდა უმავთულო ტელეგრაფი, რითაც, ვინ იცის, რას არა სჩადიდდნენ. ერთხელ მთავრობამ ქარიშხლის დროს ცნობა მიიღო, ზღვაზე საგაქრო გემს უბედურება ეწიაო. გაგზავნენს აქეთ-იქით ხალხი, მაგრამ ვერაფერი ნახეს. თუმცა ამერიკაში მილი-არდერების შვილთ ფრთხილად ექცევიან, მაგრამ ამის შემდეგ გამო-სცეს კანონი, რაც ყალბ ცნობის მაუწყებელს დასჯას უქადის.

ერთმა ლორდმა თავის ქალიშვილს 15 ათას მანეთად ღირებული ტიკინი მიუძღვნა. გარდა თვალების ხმარებისა, იგი ადამიანივით ლაპარაკობს. ტიკინის სახე ხელისაანს კი არ გაუკეთებია, არამედ ამერიკის გამოჩენილმა მოქანდაკემ გამოჰკვთა. მალაზიიდან ტიკინს მზითე-ვიც გამოატანეს: აუარებელი თეთრული, კაბები, ფეხსაცმელი და სხვა. ტიკინს საწოლი ოთახიც აქვს და საპირფარეშო ნივთები სულ ვერცხლისაა. მის მოსაველეად საგანგებო მოახლე ქალიც კი დაიქირა-ვეს, რომლის მოვალეობა ის არის, რომ ბავშვის სურვილისამებრ ტიკინს ტანისამოსი გამოუცვალოს ხოლმე.



ბაულსენის ახალი გამოგონება. დანიელმა ინჟინერმა ბაულსენმა გამოიგონა ტელეფონი, რომელიც ნალაპარაკებსა ხწერს. თუ ვისმე ჰსურს ნალაპარაკების ხელმეორედ მოსმენა, ანდამანტიან მავთულს აამოძრავებს. ახალ აპარატს შეუძლიან მაშინაც იმოქმედოს, როცა პატრონი შინ არ არის. მოლაპარაკეს თითონ ტელეფონი უპასუხებს: „პატრონი შინ არ არის. მე ჩამწერი ტელეფონი ვარ, ბრძანეთ, რაც გვინდა, სიტყვა-სიტყვით გადავცემო“ და შემდეგ დაიწყებს ჩაწერას. როცა პატრონი დაბრუნდა, აპარატს გაშინჯავს და თუ ციფერბლატის ისარი ნოლს გადასცალებია, შეატყაფს, ვილაცას ულაპარაკნია და ისიც მოისმენს. ბაულსენის ტელეფონი რუსეთშიაც აქვს ზოგიერთსა. ეხლა მოსკოვის სატელეფონო საზოგადოებაც აპირებს ამისთანა ტელეფონის გამართვასა.

## ფოტო-ტელეგრაფი.



ლუდვიგ ჩერნერის მიერ გამოგონილ ფოტო-ტელეგრაფით გადაცემული კაცის სახე.